

Facebook-ის დიდი წმენდა

რა წაიშალა და რატომ?



მარიამ წიწიკაშვილი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)

24 დეკემბერი 2019



20 დეკემბერს სოციალურ ქსელმა Facebook-მა თავისი პლატფორმიდან 418 ქართული ანგარიში (39 პროფილი, 344 გვერდი, 13 ჯგუფი და 22 Instagram-ანგარიში) [წაშალა](#). ამის მიზეზი წაშლილი ანგარიშების **კოორდინირებული და არაავთენტური ქცევა** გახდა. ატლანტიკური საბჭოს ციფრული კრიმინალისტიკის ლაბორატორიის [თანახმად](#), რომელიც Facebook-თან თანამშრომლობს და მას დეზინფორმაციული კამპანიების შესახებ ინფორმაციას აწვდის, აღნიშნულ გვერდებზე მკვეთრად **ანტი-ამერიკული** შინაარსის შემცველი პოსტებიც ვრცელდებოდა. Facebook-ის განცხადების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშების უკან მდგომი ადამიანები ცდილობდნენ, თავიანთი იდენტობა და კოორდინირებული მუშაობა დაეფარათ, მათი გამოძიებით, ეს აქტივობები საქართველოში მოქმედ სარეკლამო კომპანია „პანდასა“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას უკავშირდება. ამ გვერდებმა დაახლოებით 316 000 აშშ დოლარი Facebook-სა და Instagram-ზე რეკლამაში, ანუ პოსტების დასპონსორებაში დახარჯეს.

რას გულისხმობს Facebook-ის პოლიტიკა „კოორდინირებული და არაავთენტური ქცევის“ მიმართ?

Facebook-ის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის ხელმძღვანელი ნათანიელ გლეიჰერი ამ ქცევას შემდეგნაირად [განმარტავს](#): „კოორდინირებული და არაავთენტური ქცევა წარმოადგენს ისეთ ქმედებას, როდესაც გვერდები ან ადამიანები მუშაობენ ერთი სცენარით, რათა მომხმარებლები მათი საქმიანობისა და იდენტობის შესახებ შეცდომაში შეიყვანონ“. Facebook-ის სტანდარტების [მიხედვით](#), არაავთენტურ ქმედებად ითვლება და შესაბამისად, **აკრძალულია** შემდეგი:

- მრავალი Facebook ანგარიშის (პროფილის) გამოყენება და მათი გაზიარება სხვადასხვა ადამიანებს შორის;
- სხვებისთვის ზიანის მიყენების მიზნით, Facebook-ისა და Instagram-ის რეპორტირების (reporting) სისტემის არასწორად გამოყენება;
- არაავთენტურ საქმიანობაში ჩართვა, რომელიც განისაზღვრება როგორც Facebook ან Instagram ანგარიშების (პირადი ანგარიში, გვერდები, ჯგუფები და ღონისძიებები (events)) გამოყენება მომხმარებლების ან Facebook-ის შეცდომაში შესაყვანად:



- პირის ვინაობის, სუბიექტის წარმოშობის მიზნის შესახებ;
- Facebook-ის ან Instagram-ის კონტენტის ან ანგარიშების პოპულარობის შესახებ;
- აუდიტორიის ან თემის (community) წარმოშობის მიზნის შესახებ;
- წყაროს ან კონტენტის წარმოშობის შესახებ;
- Facebook-ის სტანდარტების გვერდის ავლის შესახებ;
- კოორდინირებულ და არაავთენტურ ქმედებაში ჩართვა, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: Facebook-ის ან Instagram-ის მრავალი ანგარიშის გამოყენება, რომლებიც მოქმედებენ შეთანხმებულად და რომელთა მუშაობის ფარგლებში მთავარი რგოლი ყალბი ანგარიშებია;
- უცხო ან ადგილობრივი მთავრობის ჩარევაში მონაწილეობის მიღება, რომელიც მათ მიერ ორგანიზებული არაავთენტური და კოორდინირებული ქმედებით ხორციელდება.

საქართველოში 418 ანგარიშის წაშლის მიზეზი ამ ანგარიშების მიერ მომხმარებლების ორგანიზებულად და მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანა გახდა, რაც ამ ანგარიშების ყალბი პოზიციონირებით ხორციელდებოდა - გვერდები საკუთარ თავს სხვადასხვა გზით ნიღბავდნენ. ისინი პოზიციონირებდნენ, როგორც ახალი ამბების სააგენტოები და თავს ასალებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებად, საჯარო პირებად და მედია საშუალებებად, მაშინ, როდესაც სინამდვილეში ყველა ანგარიში „ქართულ ოცნებასა“ და სარეკლამო კომპანია „პანდასთან“ იყო დაკავშირებული.

20 დეკემბერს, Facebook-მა მსგავსი კოორდინირებული და არაავთენტური ქმედებების გამო ვიეტნამსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი გვერდებიც მასობრივად წაშალა. თუმცა ამ შემთხვევებში Facebook-ის განცხადების თანახმად, არაავთენტური ქმედების კვალი არა ამ ქვეყნების მთავრობებთან, არამედ ამერიკაში დაფუძნებული მედია საშუალება “BL”-თან მიდის.

Facebook-მა კოორდინირებული და არაავთენტური ქცევის შესახებ **გამოძიებები 2018 წლიდან დაიწყო**. ქართული ანგარიშების მასობრივ წაშლამდე, მან [ხუთი](#) მსგავსად მასშტაბური ქმედება გამოავლინა. ამ ხუთი შემთხვევიდან, ორ შემთხვევაში Facebook-მა ამ ქმედებების ორგანიზატორები დაასახელა:



- **რუსეთის სამხედრო სადაზვერვო სამსახური** - 2018 წლის 21 აგვისტოს წაიშალა [გვერდები](#), რომლებიც ეხმაურებოდნენ პოლიტიკურ მოვლენებს სირიასა და უკრაინაში. Facebook-ის განცხადებით, აღნიშნული გვერდები „სირიის მედიის ცენტრთან“ არიან ასოცირებული, რომელიც ატლანტიკური საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების მიერ პრორუსულ და ასადის მხარდამჭერი შინაარსის მქონე ინფორმაციის გავრცელებაში არის მხილებული. Facebook-ის განცხადებით, აღნიშნული გვერდები **შეიძლება** რუსეთის სადაზვერვო სამსახურთან იყოს დაკავშირებული.
- **მიანმარის სამხედრო ძალები** - 2018 წლის 28 აგვისტოს Facebook-მა [წაშალა](#) 425 გვერდი, 17 ჯგუფი, 135 ანგარიში და 15 Instagram ანგარიში, რომლებიც მიანმარის სამხედრო ძალებთან იყვნენ დაკავშირებული, რომლებიც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ ავტორიზებული გამოძიების შედეგად ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებში არიან ბრალდებულები. მიანმარის შემთხვევაშიც, აღნიშნული გვერდები მათი ყალბი და შეცდომაში შემყვანი პოზიციონირების გამო წაიშალა და არა იმ კონტენტის გამო, რასაც ავრცელებდნენ. წაშლილი გვერდები თავს ასალებდნენ საინფორმაციო, გასართობ, სილამაზისა და ე.წ. lifestyle (ცხოვრების სტილის) გვერდებად, მაშინ, როდესაც სინამდვილეში მიანმარის სამხედროებთან იყვნენ დაკავშირებული და სამხედრო პროპაგანდისტულ მესიჯებს ავრცელებდნენ.

მიანმარის სამხედრო ძალების გარდა, **Facebook-ს აქამდე არცერთი სხვა კოორდინირებული ქმედება არ გამოუვლენია, რომლის ფარგლებშიც მთავრობა საკუთარი მოქალაქეების შეცდომაში შეყვანას ცდილობდა.**

რა გვერდები წაშალა Facebook-მა საქართველოში?


Facebook-ის მიერ წაშლილი ანგარიშების დიდი უმრავლესობა (344) გვერდებს წარმოადგენს. თუმცა ამ წმენდის ფარგლებში 39 პირადი ანგარიშიც წაიშალა, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ გვერდების ადმინისტრირებაში ჩართულ პირებს ეკუთვნოდათ. Facebook-ს არ გაუსაჯაროვებია იმ გვერდების სია, რომლებიც გააუქმა. თუმცა, მკითხველს ვთავაზობთ ნაწილს იმ გვერდებისა, რომლებიც „ფაქტ-მეტრის“ გუნდის მიერ ხელისუფლების მხარდამჭერ და ოპოზიციის საწინააღმდეგო მიზანმიმართულ კამპანიებში შეიმჩნეოდა და რომლებიც სოციალურ ქსელში აღარ იძებნებიან.



სოციალურ ქსელში გაქრა გვერდი checkfact.ge. აღნიშნული გვერდი თავდაპირველად 2013 წელს გაჩნდა და ის „ფაქტ-მეტრის“ იმიტირებას ცდილობდა. ის იყენებდა „ფაქტ-მეტრის“ სახელსა და ლოგოს, პოლიტიკურად მოტივირებული პრინციპით არჩევდა „ფაქტ-მეტრის“ სტატიებს და აზიარებდა. გარდა ამისა, გვერდი სხვა სახის ინფორმაციასაც ავრცელებდა და მათ სიზუსტეს „ფაქტ-მეტრის“ სახელით აფასებდა. „ფაქტ-მეტრის“ რედაქციისა და „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ გვერდის სიყალბის მამხილებელი [განცხადებების](#) შემდეგ, გვერდმა დროებით აქტიურობა შეწყვიტა. თუმცა 2014 წლიდან ის შეცვლილი ლოგოთი და სახელით (checkfact.ge) გააქტიურდა და წყაროს მითითების გარეშე, კვლავ დაიწყო

„ფაქტ-მეტრის“ ცალკეული სტატიების გავრცელება, რომლებიც მათი პოლიტიკური დღის წესრიგის მიხედვით შეირჩეოდა.

გვერდი 20 ივნისის შემდგომ მიმდინარე აქციების პარალელურად გაქტიურდა. 2019 წლის 31 ივლისს გვერდმა გაავრცელა [პოსტი](#), რომელიც პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად (იხ. ფოტო).





გავრცელებული მანიპულაციური ინფორმაცია სხვა ყალბი გვერდებისა და ცრუ მედიების რიტორიკასთან იყო თანხვედრაში, რომლებიც აქციის დისკრედიტაციას მისი კონკრეტულად ერთ პოლიტიკურ პარტიასთან, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებით ცდილობდნენ. აღნიშნული კი მმართველი გუნდის წარმომადგენლების განცხადებებთან სრულ თანხვედრაში მოდიოდა:

[გია გაჩეჩილაძე](#) - „ვერ ხედავთ, ვინ დგას დღევანდელი მოვლენების სათავეში, ხალხი, რომელმაც მთელი ეკონომიკა რუსეთს გადასცა, ეუთო-ს სამიტზე, 2008 წელს აღიარა, რომ საქართველო დაესხა თავს ცხინვალს“.

[სოფო კილაძე](#) - „აქციაზე არის „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც იყენებს სამოქალაქო აქტივიზმს ფარად“.

[გია ვოლსკი](#) - „აქციებს ის ხალხი ატარებს, ვისაც გახარიამ პარლამენტში შემოჭრის საშუალება არ მისცა“.

[ირაკლი კობახიძე](#) - „200 ნაციონალი ვერ დაბლოკავს პარლამენტის მუშაობას“.

Facebook-დან იმ გვერდების უმეტესობაა წაშლილი, რომლებიც 20 ივნისის აქციების დისკრედიტაციას ისახავდნენ მიზნად. „ფაქტ-მეტრის“ მიერ 2019 წლის 14 აგვისტოს გამოქვეყნებულ [სტატიაში](#) მოცემულია გვერდები, რომლებიც აქციის დელეგატიმაციას ცდილობდნენ. Facebook-ზე წაშლილი გვერდების მესიჯები, მსგავსად checkfact.ge-ის პოსტისა, ცდილობდნენ, პარლამენტის წინ მიმდინარე აქცია ვიწრო პარტიულ დემონსტრაციად წარმოეჩინათ და ამით მათი მოთხოვნების დელეგატიმაცია მოეხდინათ.



მაგალითი 1.



წყარო: on.ge

ფაქტ-მეტრის სტატიაში არსებული 23 გვერდიდან ამჟამად 15 გვერდია გაუქმებული.



ცხრილი 1:

	„ფეისბუკ“ გვერდის დასახელება	შექმნის თარიღი	სტატუსი
1	ვერდაბრუნდებიან	16 ნოემბერი, 2018	გაუქმებულია/არ იძებნება
2	ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა	27 აპრილი, 2013	გაუქმებულია/არ იძებნება
3	პოლიტიკური სანაგვე	27 ივნისი, 2018	გაუქმებულია ¹ /არ იძებნება
4	ნაციონალისტის გვერდი	23 აპრილი, 2018	გაუქმებულია/არ იძებნება
5	ჩვენი დროის გმირი/HEROO	2 აპრილი, 2018	გაუქმებულია/არ იძებნება
6	ქართული სახელმწიფო	20 მარტი, 2019	გაუქმებულია/არ იძებნება
7	იყავი და გაგვეკეთებინა	2 მარტი, 2018	გაუქმებულია/არ იძებნება
8	ნაცია-ადამიანი?!	11 ივლისი, 2017	აქტიურია
9	საინფორმაციო გვერდი/Information Page	4 თებერვალი, 2014	გაუქმებულია/არ იძებნება
10	ამხილე	16 მაისი, 2013	გაუქმებულია/არ იძებნება
11	მახსოვს/Makhsovs	6 ივლისი, 2018	გაუქმებულია/არ იძებნება
12	ფსევდოლიბერალების მხილება	19 მაისი, 2018	აქტიურია
13	ანტი-პარადოქსი	18 მაისი, 2018	გაუქმებულია/არ იძებნება
14	ეროვნული მედია	2 ნოემბერი, 2018	გაუქმებულია/არ იძებნება

¹ 2019 წლის 23 დეკემბრის 12:00 საათის მონაცემებით გვერდი იძებნებოდა. ამჟამად გვერდი დეაქტივირებულია. თუმცა, Facebook-ის საძიებო სისტემაში იძებნება ამავე სახელწოდებით გვერდი [„პოლიტიკური სანაგვე“](#). ორიგინალი გვერდი შექმნილი იყო 2018 წლის 27 ივნისს, ხოლო მისი კლონის შექმნის თარიღია 2019 წლის 30 ივლისი. სავარაუდოდ, გვერდი თავად ადმინისტრატორმა გააუქმა და ამიტომაც, Facebook-ის მიერ წაშლილ გვერდებში არ მოხვდა.



15	ქართული პრესა	22 დეკემბერი, 2014	გაუქმებულია/არ იძებნება
16	ივერიის გაბრწყინება	17 მარტი, 2013	გაუქმებულია/არ იძებნება
17	კარდჰუ	23 ივლისი, 2017	აქტიურია
18	Antiliberal League - ანტილიბერალური ლიგა	18 მარტი, 2019	აქტიურია
19	ლიბერალიზმი? შენ მესპე	31 მაისი, 2018	აქტიურია
20	ყბადაღებული საზოგადოება	28 დეკემბერი, 2016	აქტიურია
21	Antiliberal Channel 2	28 აპრილი, 2018	აქტიურია
22	Unofficial Conspiracies	1 ივნისი, 2018	აქტიურია
23	რიტორიკა - Rhetoric	12 მარტი, 2019	გაუქმებულია/არ იძებნება

2019 წლის 25 ნოემბერს „ფაქტ-მეტრმა“ კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა [სტატია](#) Facebook გვერდებზე, რომლებიც აქციის დისკრედიტაციას ცდილობდნენ. ამ გვერდების გააქტიურების ხელახალი ტალღა პროპორციული საარჩევნო სისტემის ჩაგდების შემდეგ განახლებულ აქციებს უკავშირდებოდა. ჩამოთვლილი 21 გვერდიდან წაშლილია 15.



ცხრილი 2.

Facebook გვერდის დასახელება	შექმნის თარიღი	სტატუსი
გარდამავალი მთავრობა	2019წ. 15 ნოემბერი	გაუქმებულია/არ იძებნება
დედაქალაქი	2016წ. 29 ივნისი	აქტიურია
სირცხვილის კორიდორი	2019წ. 21 მაისი	აქტიურია
ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა	2019წ. 27 აპრილი	გაუქმებულია/არ იძებნება
იყავი და გაგვეკეთებინა	2018წ. 2 მარტი	გაუქმებულია ² /არ იძებნება
Infomedia+	2019წ. 12 იანვარი	გაუქმებულია/არ იძებნება
მეხუთე კოლონა	2019წ. 3 აპრილი	გაუქმებულია/არ იძებნება
პოლიტიკური სამრეცხაო	2019წ. 25 აპრილი	გაუქმებულია/არ იძებნება
არ დაივიწყო წარსული	2017წ. 21 ივლისი	გაუქმებულია/არ იძებნება
პოლიტიკური სააშკარაო	2019წ. 14 იანვარი	გაუქმებულია/არ იძებნება
მიმისტრი	2019წ. 18 თებერვალი	გაუქმებულია/არ იძებნება
მახსოვს/Makhsovs	2018წ. 18 ივლისი	გაუქმებულია/არ იძებნება
გიორგი აღაპიშვილის ბლოგი	2019წ. 22 ივლისი	გაუქმებულია/არ იძებნება
NEWS-FRONT.INFO	2019წ. 13 ოქტომბერი	აქტიურია

² 2019 წლის 23 დეკემბრის 12:00 საათის მონაცემებით გვერდი იძებნებოდა. ამჟამად გვერდი დეაქტივირებულია. თუმცა, Facebook-ის საძიებო სისტემაში ამავე სახელწოდებით გვერდი იძებნება, სავარაუდოდ [კლონი](#). ორიგინალი გვერდის შექმნის თარიღი 2018 წლის 2 მარტია, ხოლო კლონირებული გვერდის - 2019 წლის 30 ივლისი. სავარაუდოდ, გვერდი თავად ადმინისტრატორმა გააუქმა და ამის გამო, Facebook-ის მიერ წაშლილ გვერდებში არ მოხვდა.



CAUCASUS NEWS REPORT	2019წ. 17 ივლისი	გაუქმებულია/არ იძებნება
ნაცია-ადამიანი?	2017წ. 11 ივლისი	აქტიურია
Unofficial Conspiracies	2018წ. 1 ივნისი	აქტიურია
ეროვნული მედია	2018წ. 2 ნოემბერი	გაუქმებულია
გრიგოლ შტაბკვარწირა	2018წ. 20 ივლისი	აქტიურია
ორი გვამი უნდათ	2018წ. 15 ნოემბერი	გაუქმებულია ³

მოცემული ჩამონათვალის მიხედვით, ჯამურად Facebook-ზე აღარ იძებნება 26 გვერდი.

ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში სოციალური მედიის მანიპულაციის შესახებ საუბრობდნენ

მიუხედავად იმისა, რომ Facebook-ზე ხელისუფლებასთან დაკავშირებული გვერდების მხრიდან წარმოებული კამპანიები 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გააქტიურდა, ამჟამად, რომ ამ გვერდების ნაწილი ჯერ კიდევ 2013 წლიდან

ამოქმედდა. თუმცა, აღნიშნულმა კამპანიებმა 2018 წლიდან მასშტაბური სახე მიიღო. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს სოციალური მედიის [მონიტორინგს](#) ახორციელებდა, რომლის ფარგლებშიც მათ შორის ცრუ საინფორმაციო სააგენტოს ტიპის გვერდები გამოვლინდა, რომლებიც თავს მედიებად ასაღებდნენ და სინამდვილეში პროსახელისუფლებო და ოპოზიციის საწინააღმდეგო კამპანიას ეწეოდნენ. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ქართული ანგარიშების წაშლის შემდეგ, Facebook-ის წარმომადგენლები ISFED-ის ხელმძღვანელს [დაუკავშირდნენ](#). როგორც მიხეილ ბენიძე აცხადებს „Facebook-ის წარმომადგენლების თქმით, წაშლილი

³ 2019 წლის 23 დეკემბრის 12:00 საათის მონაცემებით გვერდი იძებნებოდა. ამჟამად გვერდი დეაქტივირებულია. თუმცა, Facebook-ის საძიებო სისტემაში იძებნება ამავე სახელწოდებით გვერდი [„ორი გვამი უნდათ“](#). ორიგინალი გვერდი შექმნილი იყო 2018 წლის 15 ნოემბერს, ხოლო მისი კლონის შექმნის თარიღია 2019 წლის 29 ივლისი. სავარაუდოდ, გვერდი თავად ადმინისტრატორმა გააუქმა და ამის გამო, Facebook-ის მიერ წაშლილ გვერდებში არ მოხვდა.



გვერდები ავლენდნენ კოორდინაციის მაღალ ხარისხს და ცალსახად იკვეთებოდა კავშირი სახელისუფლებო პარტიასთან. Facebook კვლავაც გააგრძელებს არავთენტური ქცევის შესწავლას და, სავარაუდოდ, გარკვეული პერიოდის მერე კვლავ მიიღებს მსგავს ზომებს სხვა გვერდებთან და კოორდინირებულ ქსელებთან დაკავშირებით“.

Facebook-ის მიერ „ქართული ოცნებისა“ და სარეკლამო კომპანია „პანდას“ მიერ მართული გვერდების გაუქმებამდე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Freedom House-მა მსოფლიოში ინტერნეტის თავისუფლების შესახებ ყოველწლიური [ანგარიშში](#) საქართველოს შესახებ აღნიშნა, რომ „ტროლები და ბოტები, რომლებიც ძირითადად საქართველოს მთავრობასთან არიან დაკავშირებული, განსაკუთრებით 2018 წლის ივნისის საპროტესტო აქციებისას და საპრეზიდენტო არჩევნების დროს გააქტიურდნენ“. ანგარიშში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა (ISFED) და მედიის განვითარების ფონდის (MDF) კვლევებია მიმოხილული, სადაც სოციალურ ქსელ Facebook-ში პროსახელისუფლებო გვერდებსა და ანგარიშებზეა ყურადღება გამახვილებული.

2019 წელს საქართველოს მთავრობის მხრიდან დეზინფორმაციის გამოყენებაზე საუბრობს ასევე ოქსფორდის ინტერნეტის [ინსტიტუტი](#). ოქსფორდის უნივერსიტეტის კვლევითმა ცენტრმა გამოაქვეყნა [ანგარიში](#) „გლობალური დეზინფორმაციის წესრიგი: სოციალური მედიის ორგანიზებული მანიპულაციის 2019 წლის გლობალური სია“. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა ერთ-ერთია იმ 70 ქვეყნიდან, სადაც სოციალური მედია და კომპიუტერული პროპაგანდა საზოგადოებრივი განწყობების ფორმირებისთვის გამოიყენება. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მსგავს საქმიანობაში სახელმწიფო ინსტიტუტები, კერძო კომპანიები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არიან ჩართულები.



TABLE 1 - ORGANIZATIONAL FORM AND PREVALENCE OF SOCIAL MEDIA MANIPULATION

Country	Government Agencies	Politicians and Parties	Private Contractors	Civil Society Organisations	Citizens and Influencers
Angola					
Argentina					
Armenia					
Australia					
Austria					
Azerbaijan					
Bahrain					
Bosnia & Herzegovina					
Brazil					
Cambodia					
China					
Colombia					
Croatia					
Cuba					
Czech Republic					
Ecuador					
Egypt					
Eritrea					
Ethiopia					
Georgia					
Germany					
Greece					
Malta					
Mexico					
Moldova					
Myanmar					
Netherlands					
Nigeria					
North Korea					
Pakistan					
Philippines					
Poland					
Qatar					
Russia					
Rwanda					
Saudi Arabia					
Serbia					
South Africa					
South Korea					
Spain					
Sri Lanka					
Sudan					
Sweden					
Syria					

ანგარიშის მიხედვით, მანიპულაციის ეს წყაროები ბოტებს⁴ და რეალურ ადამიანების მიერ მართულ ყალბ ანგარიშებს იყენებენ.

⁴ ბოტი - სოციალურ ქსელში არსებული ავტომატიზებული პროფილი, რომელსაც რეალური პიროვნების პროფილისთვის მიმსგავსებული მახასიათებლები აქვს.



TABLE 2 - FAKE ACCOUNT TYPES

Country	Bots	Human	Cyborg	Hacked or Stolen
Angola	1	1	1	1
Argentina	1	1	1	1
Armenia	1	1	1	1
Australia	1	1	1	1
Austria	1	1	1	1
Azerbaijan	1	1	1	1
Bahrain	1	1	1	1
Bosnia & Herzegovina	1	1	1	1
Brazil	1	1	1	1
Cambodia	1	1	1	1
China	1	1	1	1
Colombia	1	1	1	1
Croatia	1	1	1	1
Cuba	1	1	1	1
Czech Republic	1	1	1	1
Ecuador	1	1	1	1
Egypt	1	1	1	1
Eritrea	1	1	1	1
Ethiopia	1	1	1	1
Georgia	1	1	1	1
Germany	1	1	1	1
Malta	1	1	1	1
Mexico	1	1	1	1
Moldova	1	1	1	1
Myanmar	1	1	1	1
Netherlands	1	1	1	1
Nigeria	1	1	1	1
North Korea	1	1	1	1
Pakistan	1	1	1	1
Philippines	1	1	1	1
Poland	1	1	1	1
Qatar	1	1	1	1
Russia	1	1	1	1
Rwanda	1	1	1	1
Saudi Arabia	1	1	1	1
Serbia	1	1	1	1
South Africa	1	1	1	1
South Korea	1	1	1	1
Spain	1	1	1	1
Sri Lanka	1	1	1	1
Sudan	1	1	1	1
Sweden	1	1	1	1
Syria	1	1	1	1

ყალბი ანგარიშების საკომუნიკაციო სტრატეგიად დეზინფორმაცია, ტროლინგი და გამავრცელებელი კონტენტი (ე.წ. amplifying content - ჰეშთეგების და სხვა ტექნიკების გამოყენებით მესიჯების მასობრივად გავრცელება) გამოიყენება.

TABLE 4 - COMMUNICATION STRATEGIES

Country	Disinfo	Mass Reporting	Data-Driven Strategies	Trolls	Amplifying Content
Angola	1	1	1	1	1
Argentina	1	1	1	1	1
Armenia	1	1	1	1	1
Australia	1	1	1	1	1
Austria	1	1	1	1	1
Azerbaijan	1	1	1	1	1
Bahrain	1	1	1	1	1
Bosnia & Herzegovina	1	1	1	1	1
Brazil	1	1	1	1	1
Cambodia	1	1	1	1	1
China	1	1	1	1	1
Colombia	1	1	1	1	1
Croatia	1	1	1	1	1
Cuba	1	1	1	1	1
Czech Republic	1	1	1	1	1
Ecuador	1	1	1	1	1
Egypt	1	1	1	1	1
Eritrea	1	1	1	1	1
Ethiopia	1	1	1	1	1
Georgia	1	1	1	1	1
Germany	1	1	1	1	1
Malta	1	1	1	1	1
Mexico	1	1	1	1	1
Moldova	1	1	1	1	1
Myanmar	1	1	1	1	1
Netherlands	1	1	1	1	1
Nigeria	1	1	1	1	1
North Korea	1	1	1	1	1
Pakistan	1	1	1	1	1
Philippines	1	1	1	1	1
Poland	1	1	1	1	1
Qatar	1	1	1	1	1
Russia	1	1	1	1	1
Rwanda	1	1	1	1	1
Saudi Arabia	1	1	1	1	1
Serbia	1	1	1	1	1
South Africa	1	1	1	1	1
South Korea	1	1	1	1	1
Spain	1	1	1	1	1
Sri Lanka	1	1	1	1	1
Sudan	1	1	1	1	1
Sweden	1	1	1	1	1
Syria	1	1	1	1	1



რა შეიძლება იყოს სწორი ნაბიჯი Facebook-ის მიერ გამოვლენილი მასობრივი მანიპულაციის საპასუხოდ?

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, Facebook-ის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ დაადასტურა ის ეჭვები, რომლებსაც ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტები და ორგანიზაციები „ქართული ოცნების“ მხრიდან სოციალური მედიის მავნე და მანიპულაციური გამოყენების შესახებ აქამდეც გამოთქვამდნენ.

Facebook-ის განცხადება საკმარისზე მეტ საფუძველს იძლევა გამოძიების დასაწყისად. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ [აცხადებს](#) გამოვლენილი ფაქტები სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის ნიშანს შეიცავს და ობიექტური გამოძიების შემთხვევაში, გამოძიება უნდა დაწყებულიყო შემდეგი მუხლების საფუძველზე: სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ, 182-ე მუხლი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქონების მითვისებისა ან გაფლანგვის შესახებ, 333-ე მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ, 144³-ე მუხლი დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის შესახებ. 157¹-ე მუხლი

პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის შესახებ, 239³-ე მუხლი ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების შესახებ და 34² მუხლი უკანონო შემოსავლების შესახებ.

დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ინსტიტუტები კონსტიტუციის შესაბამისად და არა ვიწრო პარტიული თუ ერთი ადამიანის არაფორმალური გადაწყვეტილებების მიხედვით მოქმედებენ, Facebook-ის მიერ გამოვლენილი ფაქტების საპასუხოდ **საპარლამენტო კომისია შეიქმნებოდა⁵**, რომელიც საკითხს ღიად და გამჭვირვალედ

⁵ როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, აშშ-ში დამოუკიდებელი პროკურორის მიუღერის და ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ხელმძღვანელობით სპეციალური გამოძიება დაიწყო. გარდა ამისა, სენატსა და კონგრესში საკომიტეტო გამოძიებები დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, მათ შორის სოციალური მედიისა და საინტერნეტო კომპანიებთან მოსმენები შედგა, რომლებიც რუსეთის მხრიდან ორგანიზებული ჩარევისას მანიპულაციის ერთ-ერთ მთავარ პლატფორმებად იქცნენ.



შეისწავლიდა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში 2019 წლის თებერვლიდან ფუნქციონირებს **დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შესახებ მოკვლევის ჯგუფი**, რომლის მიზანსაც დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე ქვეყანაში არსებული ძირითადი გამოწვევების და პრობლემების

გამოკვლევა, გაანალიზება და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციების პროექტის მომზადება წარმოადგენს. Facebook-ის მიერ გამოვლენილი ფაქტები აღნიშნული მოკვლევის ჯგუფის საქმიანობას ფასადურს გახდის, თუკი საბოლოო ანგარიშში ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებით ადეკვატური ნაბიჯების (მაგ.: დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება) შესახებ რეკომენდაცია არ იქნა ასახული.

იმ მოცემულობაში, როდესაც საქართველოს პარლამენტში უმრავლესობას ფლობს პარტია „ქართული ოცნება“, რომელიც Facebook-ის მიერ გამოვლენილი არადემოკრატიული და სავარაუდო დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებაში მხილებული მთავარი სუბიექტია, საპარლამენტო კომისიის შექმნა და/ან საქართველოს სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა, ნაკლებ სავარაუდოა. უფრო მეტიც, კოკა ყანდიაშვილმა, რომელიც 2013 წლამდე პრემიერ-მინისტრის აპარატის კომუნიკაციების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, შემდგომ კი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს მთავრობის კონსულტანტი [იყო](#), Facebook-ის გამოძიების საპასუხოდ გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში [დაანონსა](#), რომ „ქართული ოცნების მხარდამჭერები სოციალურ ქსელში ბევრად უფრო აქტიურები გახდებიან და ნაციონალური მოძრაობის მხილების გაორმაგებული მონდომებით გააგრძელებენ“.

არანაკლებ ცინიკური და შემაშფოთებელი იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებები, რომლებმაც Facebook-ის განცხადებაზე პასუხისას კვლავ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ ისაუბრეს. მამუკა მდინარაძემ [განაცხადა](#), რომ „ნაციონალური მოძრაობის პარტიული აქტივი (თავისი „ბოტ-ტროლებით“ და „ფეიკ-გვერდებით“) ისტერიულად არეპორტებს ყველა იმ Facebook მომხმარებელს და გვერდს, რომლებიც გამოხატავენ მხარდაჭერას სახელისუფლებო წრეების მიმართ“ და სწორედ ამას მიაწერა Facebook-ის მხრიდან ყალბი ანგარიშების მასშტაბური



წაშლა. უმრავლესობის წევრმა რატი იონათამიშვილმა არ [გამორიცხა](#), რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შექმნა ცალკეული გვერდები და შემდეგ თავად დაარეპორტა ისინი. პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის [განცხადებით](#) კი, Facebook-ზე არაავთენტურ ქმედებას „ქართული ოცნებისადმი“ ლოიალური სუბიექტები აფინანსებდნენ.

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა, მათ შორის მამუკა მდინარაძემ და ირაკლი კობახიძემ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის რეგულირების საჭიროებაზეც ისაუბრეს. ირაკლი კობახიძემ [განაცხადა](#), რომ დეზინფორმაციის წინააღმდეგ პარლამენტში კანონპროექტების პაკეტი ინიცირებული, რომელიც მათ შორის სატელევიზიო სივრცეში „გინებას“ უპასუხებს. გაურკვეველია, თუ რა კანონპროექტზე⁶ საუბრობს კობახიძე, თუმცა სამწუხარო რეალობა ისაა, რომ ბ-ნ კობახიძეს განცხადებას დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან საერთო არაფერი აქვს და ის რეალურად მმართველი პარტიისათვის მიუღებელი და კრიტიკული მედია საშუალებებისათვის ცენზურის დაწესებას და მუქარას გულისხმობს.

⁶ 2019 წლის დასაწყისში პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და „ქართული ოცნების“ ლიდერები, მათ შორის ირაკლი კობახიძე, ცილისწამების რეგულირებასა და ყალბ ამბებთან ბრძოლის რეგულირების არგუმენტად საფრანგეთის 2018 წლის 20 ნოემბერს მიღებულ კანონს „ყალბი ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ“ იშველიებდნენ, რომლის ინტერპრეტაციასაც არასწორად ახდენდნენ. იხ. GRASS-ის პუბლიკაცია ამავე თემაზე - <https://grass.org.ge/uploads/other/2019-02-08/279.pdf>